



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკა“

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 19 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18 ივნისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მათემატიკა MATHEMATICS
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მათემატიკის ბაკალავრი Bachelor of Mathematics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0541 - მათემატიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	აკრედიტებული (აკრედიტაციის საბჭოს #727 გადაწყვეტილება, 27/11/2012).

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
---	--

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ შანიძე (სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დალაქიშვილი (სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ნადარეიშვილი (სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია (შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლამა ლალიაშვილი (სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“ აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის საფუძველზე და მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამის 1 ECTS კრედიტი 25 საათს შეესაბამება. პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „მათემატიკის ბაკალავრი“.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ აკრედიტაციის ვიზიტი და შეხვედრები 2021 წლის 18-19 მაისს ჩატარდა. ვიზიტი დაიწყო 18 მაისს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და სასწავლო აუდიტორიების დათვალიერებით და კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო გაგრძელდა დისტანციურად, zoom პლატფორმის საშუალებით 19 მაისს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის ფარგლებში, დისტანციურ რეჟიმში შეხვდნენ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, აქტიურ სტუდენტებს და კურსდამტავრებულებს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალებისა და აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დროს შემოწმდა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ჯგუფის წევრების შესაფასებით 4 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1 სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. შესაბამისობის დეტალური მიმოხილვა მოცემულია დასკვნის ტექსტში.

რეკომენდაციები

- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.
- ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის უფრო მეტად შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება. უნდა გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა.
- სასურველია მკაფიოდ იკვეთებოდეს, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს,

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

- სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით;
- სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, უფრო სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, ერთიანი რეაგირების ანგარიშის წარმოდგენის გზით;
- სასურველია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების უფრო ეფექტური მექანიზმი და შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი ანალიზი;
- სასურველია დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება ან/და პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება განხორციელდეს სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკა“ ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და შეესაბამება უნივერსიტეტი მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ეს პროგრამა კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებისკენ არის მიმართული და ითვალისწინებს დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს და ღირებულებებს.

პროგრამის მიზნების შესაბამისად, კურსდამთავრებულმა უნდა მიიღოს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მათემატიკის თანამედროვე და ფუნდამენტურ მიმართულებებში; გამოიმუშაოს პრობლემების გაგების, ანალიზის, შეფასების და გადაწყვეტილების მიღების უნარები მათემატიკის სხვადასხვა დარგში და გამოიყენოს შესაფერისი მათემატიკური მეთოდები ამ პრობლემის გადაჭრისათვის.

პროგრამის მიზნების განხორციელება ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სიხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მათემატიკის საბაკავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ცოდნა-გაცნობიერების, შეძენილი უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიხედვით.

სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს მათემატიკის ფუნდამენტური კონცეფციების, პრინციპების და თეორიების ცოდნას; მათემატიკური აპარატის გამოყენებით აყალიბებს და ამტკიცებს საკვანძო დებულებებს, აღწერს სხვადასხვა მოვლენებს. პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ უნარი გამოიყენონ შესწავლილი

მათემატიკური აპარატი სხვადასხვა სახის ამოცანების გადასაჭრელად, მათ შორის: მკაცრი დამტკიცების, ლოგიკური მათემატიკური მსჯელობისა და დასკვნების ჩამოყალიბების გზით; ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით გამოთვლითი მეთოდებისა და ალგორითმების საფუძველზე; პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საფუძველზე კურსდამ- თავრებულს შეუძლია დაგეგმოს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობა პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად; სწავლის შემდგომი გაგრძელების საშუალება და უწყვეტი პროფესიული განვითარება.

პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების, ასევე შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ტარდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: სავალდებულო - ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), მათემატიკა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, მობილობით - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ასევე, თუ პროგრამაზე დაშვების მსურველი წინაპირობებს აკმაყოფილებს ეს ნიშნავს, რომ მას აქვს ცოდნა და უნარები რათა დაიწყოს სწავლა პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- გასაუბრება პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ.

პროგრამა შედგენილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი მუშაობით. პროგრამაში გათვალისწინებულია პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების შეხედულებებიც.

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), მოცულობა - 240 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი; პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან:

- უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული ან ფრანგული) - 15 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 141 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები - 24 კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი, რომელიც სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს ინდივიდუალურად, თავისი შეხედულებისამებრ.

თეორიული მიმართულების საგნებთან ერთად სტუდენტები შეისწავლიან მათემატიკის პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ისეთ საგნებსაც, როგორიცაა დაპროგრამების საფუძვლები და გამოყენებითი პროგრამების პაკეტი, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების სამომავლო დასაქმებას.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება

მათემატიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა აგებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად მარტივიდან რთულისკენ. პირველ ორ სემესტრში ისწავლება კლასიკური საბაზისო კურსები: კალკულუსი, ალგებრა (I და II), მათემატიკური ანალიზი (I), მათემატიკური ლოგიკა, ანალიზური გეომეტრია, დისკრეტული მათემატიკა და დაპროგრამების საფუძვლები. მესამე და მეოთხე სემესტრში გრძელდება საგნების ლოგიკური ჯაჭვი: მათემატიკური ანალიზი (II და III), დიფერენციალური განტოლებები (I და II), რიცხვითი ანალიზი (I და II), რიცხვითი მეთოდები, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა. შემდგომ საფეხურზე გრძელდება ოპტიმიზაციის მეთოდები, ზომის და ინტეგრალის თეორია, ფუნქციონალური ანალიზის საფუძვლები, დიფერენციალური გეომეტრია, მათემატიკური ფიზიკის განტოლებები და გამოყენებითი პროგრამების პაკეტები. ძირითადი საგნები იძლევა საბაზისო ცოდნის მიღების საშუალებას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუების შედეგები; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამისა, საგნების სილაბუსების გაცნობამ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ თითოეული კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა არის ადეკვატური, თანამედროვე და ისინი შეესაბამებიან კურსის სწავლის შედეგებს.

ყოველ სასწავლო კომპონენტს მითითებული აქვს ადეკვატური წინაპირობა, რომელიც ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნასა და უნარებს.

სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწის მიზნით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რეგულარულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, სადაც ისინი გამოხატავენ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებას. გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოყენებულია პროგრამის დახვეწისათვის.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი ლიტერატურით. ძირითადი ლიტერატურა არის ქართულ ენაზე. დამატებითი ლიტერატურა არის როგორც ქართულ, ასევე რიგ შემთხვევებში, უცხოურ ენაზე.

სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია სსუ-ის ბიბლიოთეკაში როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. სსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ბიბლიოთეკის ფონდის გაცნობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წამყვანი მეცნიერები, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში ასევე, წარმატებით მოიპოვებენ დაფინანსებას სამეცნიერო პროექტებისთვის. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სამეცნიერო გრანტებში, დაესწრონ და/ან მონაწილეობა მიიღონ სემინარების, კონფერენციების და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში. სამეცნიერო ღონისძიებებში შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.

პროგრამის კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაო რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსები

სავალდებულო:

- საოფისე პროგრამები COMP B100
- მათემატიკური მოდელირების საფუძვლები MATH B121
- გამოყენებითი პროგრამების პაკეტი COMP B124

არჩევითი:

- გამოყენებითი სტატისტიკის საფუძვლები MATH B113-1
- ფინანსური მათემატიკის საფუძვლები MATH B126-1

რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეისწავლის მათემატიკური მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას სხვადასხვა დარგებში.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან: საქართველოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი; რუსთავის საჯარო სკოლა N21; კერძოს საშუალო სკოლა შპს „აისი“. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთან დადებულ მემორანდუმებში არ არის დაზუსტებული სტუდენტების რაოდენობა. რადგან, სავარაუდო დამსაქმებელთან შესაძლო პრაქტიკა არ არის გათვალისწინებული პროგრამაში და არ აქვს სილაბუს, ვთვლით, რომ სტუდენტების რაოდენობა შეიძლება არ იყოს დაკონკრეტებული. ასევე, მათემატიკის სპეციალისტების სამუშაო ბაზრის სპეციფიკაც ართულებს დასასაქმებელი სტუდენტების რაოდენობის დაკონკრეტებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

• ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსების და პროგრამის გაანალიზების, ასევე პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წიგნზე მუშაობის მეთოდი; კრიტიკული ანალიზი; პრაქტიკული მუშაობა; ახსნა-

განმარტებითი მეთოდი; ლექცია-სემინარი; ინტერაქტიული ლექციები; შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში; წერითი მუშაობის მეთოდი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ზემოთ ხსენებული ადასტურებს, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ასევე ჩანს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის-კულტურის წარმომადგენელი სტუდენტები. სოხუმის სახელმწიფო არსებობს ტრადიცია იმისა, რომ გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა კულტურის სტუდენტების კულტურული და/ან სხვა საჭიროებები სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. ეს წესები საჯაროა, ხელმისაწვდომია, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას,

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (0-100 ქულა) 0-60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებებისათვის, ხოლო 0-40 ქულა - დასკვნითი შეფასებისათვის;

საბაკალავრო ნაშრომების შუალედური (XIII - XIV კვირა) და დასკვნითი შეფასებისთვის (სასესიო პერიოდი) იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისიები, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამაში ჩართული შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი). ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის

რექტორი. კომისია გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებებისა და რეცენზენტის ქულის საშუალო არითმეტიკულს. თუ მიღებული შეფასება არის 11 ქულაზე ნაკლები,

მაშინ სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით დაცვაზე. (შუალედურ შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი). საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია

სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს არანაკლებ 20 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებია

ნაშრომის ფორმალური მხარე - 10 ქულა.

მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა - 10 ქულა.

ფაქტობრივი მასალის ფლობა და გადმოცემის თანმიმდევრულობა - 20 ქულა.

არგუმენტაციისა და დასკვნის უნარი - 20 ქულა.

პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 20 ქულა.

პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 10 ქულა.

კითხვებზე პასუხის გაცემა - 10 ქულა.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“ არაა წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები ქულების მიხედვით.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი „სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.
- „სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება“
- „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ „მათემატიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა სტუდენტები მობილობას ფაქტობრივად არ იყენებენ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია დეკანის, მისი მოადგილისა და სხვა ადმინისტრაციული პერსონალის საკონტაქტო მონაცემები (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი). სტუდენტებს ინდივიდუალური კონსულტაციების მიღება შეუძლიათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ შედგენილი აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით განთავსებული იქნება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტებიდან ზოგი არაა დასაქმებული თავისი პროფესიით, ზოგი საერთოდ არაა დასაქმებული. პროგრამის აღწერაში ჩამოთვლილია მათემატიკის ბაკალავრის პოტენციური დასაქმების სფეროები, თუმცა გასაუბრების დროს წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი დამსაქმებელი (სკოლა და ერთერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება). ამრიგად, კარგი იქნება თუ გაძლიერდება სტუდენტების ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცემა სისტემატიური ხასიათი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დებულება. • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ვებ-გვერდი. • „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი. • ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანამშრომელთა CV-ების, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან უშუალოდ შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პერსონალის რაოდენობა არის 23. მათ შორის 20 აფილირებული აკადემიური (აფილირებული პროფესორი -5, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 14, აფილირებული ასისტენტ პროფესორი 1). აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (20 აკადემიური/3 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელების CV-ებითა და მათთან გასაუბრებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია. ასევე გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულები არიან პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში. სტუდენტებთან გასაუბრებითაც და დასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები უწყვენ მათ სათანადო კონსულტაციებს პროგრამასთან დაკავშირებით.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პედაგოგიური გამოცდილებით, საგრანტო პროექტებში (შოთარუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, SRNSF –FR-18-126, თერმო-ელექტრო-მაგნიტოდრეკადობის თეორიის დინამიკის შერეული საკონტაქტოამოცანების მათემატიკური ანალიზი და მასთან დაკავშირებული ურთიერთქმედების ამოცანების სხვადასხვაგანზომილებიანი ველებისათვის; EPSRC-Engineering and Physical Sciences Research Council, Grant: EP/M013545/1 „Mathematical Analysis of Localized Boundary-Domain Integral Equations for Nonlinear PDEs“, UK) ჩართულობითა და სამეცნიერო კონფერენციებში (The Second Caucasian Mathematical Conference (CMC-II); The VIII-th International Conference of Georgian Mathematical Union; The 11-th ISAAC Congress (The International Society for Analysis, its Applications and Computation)) მონაწილეობითმათ მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, სამეცნიერო საგრან.

პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით-

ადმინისტრაციული პერსონალი:

დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი,).

დამხმარე პერსონალი:

სტუდენტთა რეესტრის წარმოების სამი მთავარი სპეციალისტი, სასწავლო პროცესების მართვის მთავარი სპეციალისტი.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება. ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკვლევა პროგრამის თითოეულ საგანთან და ამ საგნის ლექტორთან მიმართებაში. გარდა ამისა, ფასდება ლექტორის ჯგუფების აკადემიური მოსწრება და სტუდენტთა მიღწევები კონკრეტულ ლექტორთან მუშაობის პროცესში. სსუ-ში ხდება პერსონალის ყოველწლიურად გავლილი წლის სამეცნიერო მუშაობის ასახვა და ანალიზი. ანალიზის შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიზნობრივი მხარდაჭერისთვის (მივლინების დაფინანსება, პუბლიკაციებისთვის საჭირო თანხების ნაწილის გამოყოფა). პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ უსდ-ში არის ქულების სისტემა რომელიც აფასებს პერსონალს გამოქვეყნებული პუბლიკაციებს. სსუ ხელს უწყობს მისი პერსონალი სამეცნიერო/კვლევითი პროექტებში ჩართულობას, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და აფინანსებს სამივლინებო ხარჯებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. პერსონალის CV ადასტურებს, რო შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; • ინტერვიუ ხარისხის კონტროლის ჯგუფთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. არის უკაბელო ინტერნეტი.

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზითა და ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის პროგრამით განსაზღვრულ საგნების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს აქვთ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ისინი. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადგილზე დააკოპირონ მათთვის საჭირო გვერდები. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია Scopus-ის ბაზა, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე გამოცემებს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; • ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <u>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის ფუნდამენტურ მეცნიერებებზე ხელშეწყობა, ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება არის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი. რაც თავისთავად მოიაზრებს საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას და მის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

პროგრამაში ჩართულ პერსონალთან, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით დასტურდება რომ პროგრამის საჭირო თანხებით დაფინანსება მიღწევადია. უნივერსიტეტი და ფაკულტეტი უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროებების დაკმაყოფილებას. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შიდა და საზღვარგარეთ მივლინებების ხარჯები, ხარჯები ტექნიკისთვის და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭირო ხარჯები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვთვლით რომ პროგრამის მდგრად დაფინანსებას საფრთხე არ ემუქრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსაკუთრებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარდა ცენტრალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა, ასევე ფუნქციონირებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული სამსახურის საქმიანობის მთავარი პრინციპები ემყარება გამჭვირვალობას, საჯაროობას, ობიექტურობას, სანდოობას, უწყვეტობასა და ვალიდურობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“. დოკუმენტი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, რომლითაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო მუშაობის და პერსონალის შეფასების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს როგორც გამოკითხვებს, ასევე გარე შეფასებებს. ამავე დროს, გათვალისწინებულია პროგრამების განვითარების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

მიუხედავად არსებული მექანიზმებისა, ინსტიტუციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ამ კუთხით მუშაობა, რათა მოხდეს მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება. სასურველია, პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგები უფრო დეტალურად გაანალიზდეს და მეტად იყოს გამოყენებული პროგრამის გაუმჯობესების ნაწილში.

გარდა ამისა, უცილებელია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს მეტი სიხშირით, განსაკუთრებით კი დისტანციური სწავლების პირობებში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით როგორც გამოიკვეთა, ინსტიტუციამ მხოლოდ ერთხელ აწარმოა კმაყოფილების კვლევა 1.5 წლის განმავლობაში, რაც ზოგადი სურათის შესაქმნელად ბუნებრივია საკმარისი ვერ იქნება.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ნამდვილად იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, უფრო სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც.

გარდა ამისა, თავად ინსტიტუციაც მიუთითებს წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში, რომ უცილებელია აღნიშნული მექანიზმების წარმართვა სხვა მიმართულებითაც, კერძოდ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც, რაც ამ ეტაპზე არ ხორციელდება. გასული წლების პრაქტიკიდან იკვეთება, რომ აღნიშნული მექანიზმი ატარებდა რიგ შემთხვევებში ფორმალურ ხასიოს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ხასიათის

გამოკითხვების ჩატარებაში, მხოლოდ რაოდენობრივ მახასიათებლებში, მოკლებული იყო ანალიზსა და გაუმჯობესების გზების ძიებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც, სადაც მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს სწორედ სწავლებისა და კვლევების ხარისხის გაუმჯობესება.

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების წარმოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროგრამის განვითარების პროცესში. თანდართულ ფაილებში, მხოლოდ რამდენიმე ერთეული მემორანდუმი იყო წარმოდგენილი იმ დამსაქმებლებთან, რომლებთანაც უსდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს. ამ კუთხით სასურველია გაიზარდოს ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების რიცხვი. წარმოდგენილი რაოდენობა ძალიან ცოტაა და საჭიროებს არეალის ზრდას.

ინსტიტუციის მხრიდან შემუშავდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად ჩართვას, რაც შემდგომში, თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას, თუმცა ამ მოცემულობით ჯერ სრულად არ იკვეთება მექანიზმების მუშაობიდან გამომდინარე დამდგარი შედეგები.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ასევე ინტერვიუების პროცესიდან გამოიკვეთა, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

აკადემიურ პერსონალთან მიმართებით გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. რადგანაც უნივერსიტეტის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ანგარიში, რაც სრულ სურათს დაგვანახებდა, ამიტომაც აუცილებელია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი ანალიზი.

უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იკვეთება შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნა თუ არა პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას, შეფასების შედეგები რამდენად იქნა გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის; ზოგადად პერსონალის განვითარებაზე რამდენად არის ორიენტირებული ინსტიტუცია, სასურველია ეს უფრო ნათლად ფიქსირდებოდეს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომელიც

ითვალისწინებს როგორც უნივერსიტეტის რესურსებს, ასევე დადგენილ სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს, კერძოდ: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის დინამიკას ბოლო წლების განმავლობაში, სტუდენტთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის მაჩვენებლებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და სხვა ფაქტორებს.

აღნიშნული მეთოდოლოგია ნამდვილად საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს თანდათან უზრუნველყოს სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია, თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა. კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს უსდ-ს შეისწავლოს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ხოლო მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა დაეხმარება ინსტიტუციას შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების კომისიის ოქმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, უფრო სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, ერთიანი რეაგირების ანგარიშის წარმოდგენის გზით;
- სასურველია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი ანალიზი;
- სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის უფრო მეტად შეფასება და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება. უნდა გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- სასურველია გაიზარდოს ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის მემორენდუმების რიცხვი;
- სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და შესაბამისად, პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

მოქმედმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 27 ნოემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #727, 2012.27.11). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პერიოდულად წარუდგენს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად.

პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო გარე შემფასებელმა (ექსპერტმაც), რომელიც არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია, როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

გარე ექსპერტის შეფასება იყო ზოგადი ხასიათის. სასურველია შეფასება უფრო მკაფიოდ გაანალიზდეს და იკვეთებოდეს, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება;
- აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ოქმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მკაფიოდ იკვთებოდეს, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, როგორც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და გამოკითხვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის შედეგებით, სხვა პროგრამაზე გადასვლის და მოქმედ პროგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რაოდენობრივი

მაჩვენებლით, კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულის მაჩვენებლით, სტუდენტთა სპეციალობით და არასპეციალობით დასაქმების მაჩვენებლით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების მეშვეობით. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განახლების უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად, მისი ეფექტიანობის შესაფასებლად.

სასურველია ინფორმაციის მოძიება არ ატარებდეს მხოლოდ სისტემური შეგროვების ხასიათს და მოხდეს უფრო სიღრმისეულად მისი გაანალიზება და ანალიზის შედეგად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან რეაგირების ანგარიშის წარმოდგენა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება თუ რა განხორციელდა გამოვლენილი სისუსტეების გაუმჯობესების მიზნით ან რა ღონისძიებებია დაგეგმილი ამ სისუსტეთა აღმოსაფხვრელად. აუცილებელია შემუშავდეს მსგავსი ტიპის რეაგირების ანგარიშის ფორმა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, უზრუნველყოფს ქმედითი ნაბიჯების გამოკვეთვას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

გარდა ამისა, სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით .

პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიშში კოლეგების მიერ შეფასება, მითითებულია, როგორც სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის გამოსაყენებელი ერთ-ერთი შესაძლო მეთოდი, თუმცა ინსტიტუციის მხრიდან ეს მიდგომა, როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, ჯერ არ ამოქმედებულა. სასურველია დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რაც წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშშიც გასაუმჯობესებელ მხარედ არის მოაზრებული უსდ-ს მხრიდან. მსგავსი შეფასება უზრუნველყოფს კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა) აღნიშნულ კურსს. აუცილებელია ამ კუთხითაც განხორციელდეს უფრო სიღრმისეული ანალიზი და ანალიზის შედეგად შემდგომი რეაგირებები განისაზღვროს.

ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ამიტომაც, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სტატისტიკური ანალიზი; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი; • სწავლების შედეგების ანალიზი; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება ან/და პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება განხორციელდეს სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას; • სასურველია თვითშეფასების აღწერით ნაწილშიც (და არა მარტო) უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის დახვეწის მიზნით; • სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
მათემატიკა, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

რევაზ შანიძე


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი დალაქიშვილი

მამუკა ნადარეიშვილი

ნინო პატარაია

ლაშა ლალიაშვილი

მ. ნადარეიშვილი
ნ. პატარაია